



ქ. თბილისი

„22“ მაისი „2015 წელი

ბრძანება № 01-23

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1 პუნქტის ე) ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის N119/ნ ბრძანების მუხლი 20-ის მე-6 პუნქტი, „სსიპ-საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მუხლი მე-8-ს 1) პუნქტის ე) ქვეპუნქტი და წესდების მუხლი-14, მე-6 პუნქტი, „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 21 მაისის სხდომის ოქმი N1 და დადგენილება N5 საფუძველზე.

ვბრძანებ:

1. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის არჩევნები დაინიშნოს 2015 წლის 15 ივნისს.
2. გამოცხადდეს კონკურსი ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად და განცხადება განთავსდეს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე 2015 წლის 22 მაისს.
3. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობის მსურველ კანდიდატთა რეგისტრაციის მიზნით კანდიდატებმა სავალდებულოა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:
 1. განცხადება საარჩევნო კომისიის სახელზე
 2. პირადობის მოწმობის ასლი
 3. CV
 4. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
 5. სამსახურის სტაჟის დამადასტურებელი საბუთი (შრომის წიგნაკის ამონაწერი)
 6. ორი ფოტო სურათი (3X4)
4. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ყოველდღე გარდა კვირისა, 2015 წლის 25 მაისიდან 10 ივნისის ჩათვლით, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის მიერ 9:00 საათიდან 17:00 საათამდე. მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N49, პირველი სართული, ოთახი 116.

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი



ჯემალ მაგანია

0162. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 49 ტელ.: +995 32 2250040

49 Chavchavadze Ave. 0162 Tbilisi, Georgia Tel: +995 32 2250040

www.sportuni.ge